

შპს „საბა & ლუკა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200 000 756

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	12
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	14
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	15
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	16
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	19- 54

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საბა & ლუკა“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ❖ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- ❖ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი

პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი

ლეილა ქოქაშვილი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საბა & ლუკა“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ❖ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე და დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შესაბამისაა ფასს-ის მოთხოვნებს;
- ❖ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი
პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი
ლელია ქოქაშვილი

3 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 54 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სავალდებულო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „საბა & ლუკა“ (ს/კ 200 000 756) ხელმძღვანელობას.

აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საბა & ლუკა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წავმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ „კომპანიამ“ 2019 წლის 01 მარტს, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B19023872 საფუძველზე შეიცვალა მხოლოდ დასახელება, მანამდე საქმიანობას აწარმოებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელექტროპლასტი“-ს (200 000 756) სახელით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები მმართველობის ანგარიშგებაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კომპანიამ უნდა მოამზადოს მმართველობის ანგარიშგება კანონის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია, ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებაზე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში თანხვედნილობის თაობაზე და შეესაბამება თუ არა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის

მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის, ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად;
- თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა, ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და კომპანიის შიდა ბიზნეს საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომლებმაც შესაძლოა, პრობლემა

შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანი“-ის სახელით, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

20 სექტემბერი, 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშილი და კომპანია“-ის სახელით, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

20 სექტემბერი, 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო



9 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 54 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
საინვესტიციო ქონება	8	68,043	33,433	22,905
ძირითადი საშუალებები	7	2,008	2,585	13,548
არამატერიალური აქტივები	-	12	12	6
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები	9	127	121	123
სულ გრძელვადიანი აქტივები:		70,190	36,151	36,582
მარაგები	10	996	1,285	522
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	838	504	271
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები	9	209	178	156
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	2,483	2,111	908
სულ მიმდინარე აქტივები:		4,526	4,078	1,857
სულ მთლიანი აქტივები:		74,716	40,229	38,439
კაპიტალი და ვალდებულებები:				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	55	55	55
გადაფასების რეზერვი	-	47,240	12,161	12,161
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-	11,943	875	(3,118)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	7,201	2,709
სულ კაპიტალი:		59,238	20,292	11,807
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-	2,179
გადავადებული შემოსავალი	-	-	-	78
მიღებული ავანსები	14	1,498	1,343	1,181
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	17	709	18,322	22,888
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		2,207	19,665	26,326
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტ.დავალიანება	15	77	149	163
საბიუჯეტო გადასახდელები	16	144	69	74
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	17	13,050	54	69
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,271	272	306
სულ ვალდებულებები:		15,478	19,937	26,632
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		74,716	40,229	38,439

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

შპს საბა & ლუკა (200 000 756)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
საინვესტიციო ქონება	8	68,043	33,433	22,905
ძირითადი საშუალებები	7	2,008	2,585	13,548
არამატერიალური აქტივები	-	12	12	6
გრძელვადიანი სასესო მოთხოვნები	9	127	121	123
სულ გრძელვადიანი აქტივები:		70,190	36,151	36,582
მარაგები	10	996	1,285	522
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	838	504	271
მიმდინარე სასესო მოთხოვნები	9	209	178	156
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	2,483	2,111	908
სულ მიმდინარე აქტივები:		4,526	4,078	1,857
სულ მთლიანი აქტივები:		74,716	40,229	38,439
კაპიტალი და ვალდებულებები:				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	55	55	55
გადაფასების რეზერვი	-	47,240	12,161	12,161
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-	11,943	875	(3,118)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	7,201	2,709
სულ კაპიტალი:		59,238	20,292	11,807
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-	2,179
გადავადებული შემოსავალი	-	-	-	78
მიღებული ავანსები	14	1,498	1,343	1,181
გრძელვადიანი სასესო ვალდებულება	17	709	18,322	22,888
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		2,207	19,665	26,326
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტ დავალიანება	15	77	149	163
საბიუჯეტო გადასახდელები	16	144	69	74
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	-
მიმდინარე სასესო ვალდებულება	17	13,050	54	69
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,271	272	306
სულ ვალდებულებები:		15,478	19,937	26,632
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		74,716	40,229	38,439

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

10 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 54 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
		31.12.2018	31.12.2017
შემოსავალი მომსახურებიდან	18	(12,726)	(12,275)
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	(1,023)	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	771	-
საერთო მოგება:		(12,978)	(12,275)
ადმინისტრაციული ხარჯები	19	3,718	3,075
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	-	58	22
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	19	272	-
საოპერაციო ხარჯები	-	30	628
შედეგი საოპერაციო მოგებიდან:		(8,900)	(8,550)
არასაოპერაციო შემოსავალი	-	(47)	(39)
არასაოპერაციო ხარჯი	-	382	56
საფინანსო შემოსავალი	20	(244)	(786)
საფინანსო ხარჯი	20	2,009	2,118
წმინდა ფინანსური ხარჯი		2,100	1,349
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(6,800)	(7,201)
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-	447	-
მოგება დაბეგვრის შემდგომ		(6,353)	(7,201)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	(35,079)	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		(41,432)	(7,201)

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს საბა & ლუკა (200 000 756)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნები	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31.12.2018	31.12.2017
შემოსავალი მომსახურებიდან	18 (12,726)	(12,275)
შემოსავალი რეალიზაციიდან	18 (1,023)	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18 771	-
საერთო მოგება:	(12,978)	(12,275)
ადმინისტრაციული ხარჯები	19 3,718	3,075
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	- 58	22
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	19 272	-
საოპერაციო ხარჯები	- 30	628
შედეგი საოპერაციო მოგებიდან:	(8,900)	(8,550)
არასაოპერაციო შემოსავალი	- (47)	(39)
არასაოპერაციო ხარჯი	- 382	56
საფინანსო შემოსავალი	20 (244)	(786)
საფინანსო ხარჯი	20 2,009	2,118
წმინდა ფინანსური ხარჯი	2,100	1,349
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(6,800)	(7,201)
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	- 447	-
მოგება დაბეგვრის შემდგომ	- (6,353)	(7,201)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
გადაფასების რეზერვი	- (35,079)	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	- (41,432)	(7,201)

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსატყემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი			
	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით:	55	12,161	(409)	11,807
დივიდენდები	-	-	(820)	(820)
რეკლასიფიცირებულის შედეგი	-	-	2,104	2,104
სხვა სრული შემოსავალი	-	-	7,201	7,201
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით:	55	12,161	8,076	20,292
დივიდენდები	-	-	(2,486)	(2,486)
კაპიტალის გაზრდა	-	35,079	-	35,079
სხვა სრული შემოსავალი	-	-	6,353	6,353
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის	55	47,240	11,943	59,238
მდგომარეობით:				

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


შპს საბა & ლუკა (200 000 756)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი			
	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით:	55	12,161	(409)	11,807
დივიდენდები	-	-	(820)	(820)
რეკლასიფიცირების შედეგი	-	-	2,104	2,104
სხვა სრული შემოსავალი	-	-	7,201	7,201
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით:	55	12,161	8,076	20,292
დივიდენდები	-	-	(2,486)	(2,486)
კაპიტალის გაზრდა	-	35,079	-	35,079
სხვა სრული შემოსავალი	-	-	6,353	6,353
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის	55	47,240	11,943	59,238
მდგომარეობით:				

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	16,110	14,181
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3,732)	(3,305)
სხვა ხარჯები	(14)	(123)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	12,364	10,753
გადახდილი პროცენტი	(1,539)	(1,858)
საბიუჯეტო გადასახდელები	(3,256)	(2,593)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,569	6,302
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(412)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(412)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	(2,360)	(779)
შემოსულები აქციებთან ემისიის შედეგად	-	-
გასავალი გრძელვადიანი სესხის დასაფარად	(6,833)	(5,225)
მიღებული სესხები	2,023	1,240
გაცემული სესხი	(6)	-
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(7,176)	(4,764)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	393	1,126
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	(21)	77
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	372	1,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:	2,111	908
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	2,483	2,111

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


შპს საბა & ლუკა (200 000 756)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	16,110	14,181
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3,732)	(3,305)
სხვა ხარჯები	(14)	(123)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	12,364	10,753
გადახდილი პროცენტი	(1,539)	(1,858)
საბიუჯეტო გადასახდელები	(3,256)	(2,593)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,569	6,302
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(412)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(412)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	(2,360)	(779)
შემოსულებზე აქციებთან ემისიის შედეგად	-	-
გასავალი გრძელვადიანი სესხის დასაფარად	(6,833)	(5,225)
მიღებული სესხები	2,023	1,240
გაცემული სესხი	(6)	-
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(7,176)	(4,764)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	393	1,126
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	(21)	77
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	372	1,203
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში:	2,111	908
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს:	2,483	2,111

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: პაატა კაჭარავა

მთ. ბუღალტერი: ლეილა ქოქაშვილი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „საბა & ლუკა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1995 წლის 01 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერისთავის ქ. №5. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 1/4-93 და საიდენტიფიკაციო კოდი: 200 000 756.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი და დირექტორი) პაატა კაჭარავა (პ/ნ 01013009523). კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 55,000 ეროვნულ ლარს.

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მისი კუთვნილი ქონების საიჯარო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: „კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას ძირითადად საქართველოში ეწევა. საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიციამომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა ავღნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ მეორე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

(დ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

(ე) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა, ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაცვლითი კურსები:	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,6766	3,0701
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2,5345	2,9913

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ან შენობას ან შენობის ნაწილს, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2018 წლის ბოლოს კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება და გადავიდა გადაფასების მოდელზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. გრძელვადიანი სამშენებლო პროექტის შემთხვევაში, სესხის აღების ხარჯებს, იმ პირობით, თუ აღიარების კრიტერიუმები კმაყოფილდება.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ეს მეთოდები მოიცავს: წრფივი ცვეთის მეთოდს, კლებადი ნაშთის მეთოდს და გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდს. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობები	20-დან 50 წლამდე
მანქანა -დანადგარები	5-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
მსუბუქი ავტომობილები	5-დან 8 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს მინიშნებები, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი ცვლილებები ცვეთის მეთოდში, სასარგებლო ვადის, ან ნარჩენი ღირებულების შეფასებაში, მაშინ ცვეთის გადაანგარიშება ხდება პროსპექტიულად იმისთვის, რომ შეფასდეს ახალი მოლოდინები აქტივის გამოყენების.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად და განისაზღვრება 15 წლით არამატერიალური აქტივების ყველა კატეგორიისთვის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე მოწმდება ყოველთვის, როდესაც ჩნდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშანი. სასრული სასარგებლო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების ვადის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზაციის პერიოდის, ან მეთოდის შეცვლა ხდება, როდესაც არის ცვლილება მოსალოდნელ სასარგებლო მოხმარების ვადაში, ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემაში და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილად, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისია.

კომპანიის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული, ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის, ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემული სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით, რომელიც მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივები შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში

რეალური ღირებულების ფინანსური აქტივები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ და თავდაპირველად რეალური ღირებულებით მოგებაში, ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია გასაყიდად, თუ ისინი შეძენილია გასაყიდად, ან გადასაყიდად უახლოეს მომავალში.

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში, ან ზარალში გადაიტანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებად, მასთან დაკავშირებული ცვლილების საფინანსო შემოსავლად, ან ხარჯად აღიარებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას არ უღიარებია ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ii). ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, მიღებულ ავანსებს და მიმდინარე და გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები

მოცემული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გასაყიდ და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც აღრიცხულია თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის, ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ის შემთხვევები, როდესაც ნეტო სარეალიზაციო ღირებულება სავარაუდოა, რომ ნაკლები იქნება თვითღირებულებაზე, ის შემთხვევებია, როდესაც ადგილი აქვს:

- პროდუქციის დასრულების ხარჯების, ან რეალიზაციის დანახარჯების ზრდას, ან გასაყიდი ფასის შემცირებას;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებას;
- მარაგის მოძველებას;
- კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, რომ პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ზარალით განხორციელდეს;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- წარმოებაში, ან შეძენისას დაშვებულ შეცდომებს.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების ფორმულირებისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი საწყისი ღირებულება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი

არსებობს ცნებები, როგორიცაა:

- „გაცხადებული საწესდებო კაპიტალი“;
- „საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შუტანელი შენატანები“- ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსებამდე საჭირო შენატანების მოცულობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მაგრამ არსებითია ის, რომ სამეწარმეო კორპორატიული სამართალი ცნობს გაცხადებულ, ანუ დათქმულ საწესდებო კაპიტალს, რომელსაც დამფუძნებლები განსაზღვრავენ. ამ გაცხადებული, ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსება შესაძლებელია როგორც მცისეულად, ისე პერმანენტულად. ამიტომაც არის ცნება „ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“. ამ დროს, სანამ არ იქნება შევსებული საწესდებო კაპიტალი დათქმულ ნიშნულამდე, ანუ გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობამდე, შეზღუდული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სამეწარმეო სუბიექტები (შპს, სს) კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შევსებული კაპიტალის ოდენობითა და დამფუძნებელ-პარტნიორები კი საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანების მოცულობით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რასაც პირი უხდიდა საგადასახადო ორგანოებს, ან იღებდა მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ან ზარალი განისაზღვრებოდა პროგნოზით, თუ ფინანსური ანგარიშგება მტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების აღრიცხვის მიზნით, გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საბალანსო ვალდებულებათა მეთოდით. საწყისი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები საწარმოთა გაერთიანებისგან განსხვავებულ ტრანზაქციაში აქტივის, ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას დროებით სხვაობებზე არ აღიარდებოდა, თუ ეს ტრანზაქცია, საწყისი აღიარებისას, არ მოქმედებდა არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები აისახებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი, ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როცა უნდა მომხდარიყო დროებითი სხვაობების გაუქმება და გადატანილი საგადასახადო ზარალის ათვისება. გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისა და გადატანილი საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდო იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში გაუქმდებოდა და იარსებებდა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლებოდა გამოქვითვების გამოყენება.

გადატანილი საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები ურთიერთჩაითვლებოდა, როდესაც არსებობდა სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, პირს მიმდინარე საგადასახადო აქტივი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებიდან გამოექვითა, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულებები დაკავშირებული იყო ისეთ მოგების გადასახადთან, რომელსაც არიცხავდა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო ერთსა და იმავე დასაბეგრ ერთეულს, ან სხვადასხვა დასაბეგრ ერთეულებს, თუ არსებობდა განზრახვა, რომ მომხდარიყო ურთიერთჩათვლა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემადგენელი 5%-ნი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოდების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს, ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას, ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. დაუყოვნებლივ იბეგრება ისეთ იურისდიქციებში მოქმედ პირებზე გადახდილი ავანსები, სადაც პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს, და ამგვარ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ასევე ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციულ საგადასახადო გარემოში რეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებსა თუ მომსახურებაზე მისაღები საგადასახადო ფასდაკლებების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება, ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების, ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის, ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამონაგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და კოდექსით დადაგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის.

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბიუჯეტო აქტივის, ან საბიუჯეტო ვალდებულებების მუხლში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ვინაიდან ფულადი ნაკადების გადინების ალბათობა 10 % დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ეჭვს აღარ იწვევს, მოცემული აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა აღნიშნული ცვლილება.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა, ან ოდენობა განუსაზღვრელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა.

მაღალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ, ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.

იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება:

ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული, ან ნაგულისხმევი პირობების);

ბ) კანონმდებლობის, ან

გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

საიჯარო შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია საოპერაციო იჯარებში გამოდის მეიჯარედ. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისისთვის შეთანხმების არსიდან გამომდინარე: შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე, თუ შეთანხმება იძლევა აქტივის ან აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც საწარმომ აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული, ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, ფინანსური

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეკლასიფიცირებული

	31.12.2017	კლასიფიცირება	31.12.2017
საინვესტიციო ქონება	21,931	11,502	33,433
ძირითადი საშუალებები	14,087	(11,502)	2,585
არამატერიალური აქტივები	12	-	12
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები	121	-	121
სულ გრძელვადიანი აქტივები:	36,151	-	36,151
მარაგები	1,285	-	1,285
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	504	-	504
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები	178	-	178
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,111	-	2,111
სულ მიმდინარე აქტივები:	4,078	-	4,078
სულ მთლიანი აქტივები:	40,229	-	40,229
კაპიტალი და ვალდებულებები:			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	55	-	55
გადაფასების რეზერვი	12,161	-	12,161
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(1,229)	2,104	875
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	7,201	-	7,201
სულ კაპიტალი:	18,188	-	20,292
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი	2,035	(2,035)	-
გადავადებული შემოსავალი	69	(69)	-
მიღებული ავანსები	1,343	-	1,343
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	18,322	-	18,322
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	21,769	-	19,665
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტ.დავალიანება	149	-	149
საბიუჯეტო გადასახდელები	69	-	69
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	54	-	54
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	272	-	272
სულ ვალდებულებები:	22,041	-	19,937
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:	40,229	-	40,229

კომპანიამ მოახდინა რეკლასიფიკაცია მიწის-გადაიტანა საინვესტიციო ქონებაში, ასევე გადავადებული მოგების გადასახადის და გადავადებული შემოსავლის რეკლასიფიკაცია მოხდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

4. ფასს -თან პირველადი ადაპტაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფასს 1-ით მომზადებული სრული პაკეტით.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან. კერძოდ, გასცემს ხელფასებსა და მოკლევადიან ბონუსებს.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მხედველობაში მიიღო ყველა შიდა და გარე ფაქტორი და დაასკვნა, რომ გაუფასურების ინდიკატორები არ არსებობს.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები

კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია რამდენიმე ახალი სტანდარტი, რომელიც გამოიცა და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ფასს 9, “ფინანსური ინსტრუმენტები” (შესწორება: 2014 წლის ივლისი. ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები უნდა კლასიფიცირდეს სამ კატეგორიად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღსარიცხი, შემდგომში სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღსარიცხი და შემდგომში მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღსარიცხი.
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და ის, თუ რამდენად წარმოადგენს საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს. თუ სავალო ინსტრუმენტს პირი ფლობს ფულადი ნაკადების მისაღებად, ის შეიძლება აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით, თუ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ამ კრიტერიუმის შესაბამისი სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შედის პორტფელში, რომლის მფლობელი გეგმავს როგორც ფულადი ნაკადების მიღებას, აგრეთვე აქტივების გაყიდვას, შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღსარიცხი. ფინანსური აქტივები, რომლებსაც არ მოაქვს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის შესაბამისი ფულადი ნაკადები, შეიძლება აისახოს მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღსარიცხ კატეგორიაში (მაგალითად, წარმოებული ინსტრუმენტები). ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტები ფინანსური აქტივებიდან აღარ განირჩევა, მაგრამ შედის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის დაკმაყოფილების შეფასების პროცესში.
- ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ყოველთვის აისახება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს, სამართლიანი ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახოს, თუ ეს ინსტრუმენტი სავაჭროდ არ არის განკუთვნილი. სხვა შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების ცვლილება აისახება მოგებაში, ან ზარალში.
- ფასს 9-ში შეუცვლელად გადმოვიდა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და აღრიცხვის მოთხოვნების უმეტესობა, რომლებიც ბასს 39-ით იყო გათვალისწინებული. მთავარი ცვლილების თანახმად, პირს ევალება, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი სხვა სრულ შემოსავალში ასახოს.

ფასს 9-ში შემოტანილია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი. ამოქმედდა „სამეტაპიანი“ მიდგომა, რომელიც საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ პირი ვალდებული იქნება, არაგაუფასურებული ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას აღრიცხონ მყისიერი ზარალი 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

დანაკარგების ტოლი ოდენობით (ან სრულვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში). თუ საკრედიტო რისკი ძალიან გაიზარდა, გაუფასურება აღირიცხება სრულვადიანი და არა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებით. ფასს 9-ის მოდელში იჯარისა და სავაჭრო მოთხოვნების აღრიცხვა ოპერაციულად გამარტივებულია.

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა და რისკის მართვის შესაბამისი გახდა. სტანდარტით, პირს შეუძლია აირჩიოს, ჰეჯირების აღრიცხვის ფასს 9-ის მოთხოვნებით იხელმძღვანელოს, თუ ყველა ჰეჯირებაზე ბასს 39 გამოიყენოს, რადგან ეს სტანდარტი ამჟამად მაკრო-ჰეჯირებას არ არეგულირებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზისა და ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, კომპანიამ არ განიცადა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9, “ფინანსური ინსტრუმენტები”-ს გამოყენების დროს.

ფასს 15, „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან „ (გამოცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოტანილია ძირეული პრინციპი, რომ შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს ტრანზაქციის ფასით მომხმარებლის მიერ საქონლის, ან მომსახურების მიღებისას. ერთ პაკეტში მოქცეული საქონელი, ან მომსახურებები, რომლებიც ერთმანეთისგან განირჩევა, უნდა აღიარდეს ინდივიდუალურად და ფასდათმობები ან დისკაუნტები საკონტრაქტო ფასზე ცალკეულ ელემენტებზე უნდა გავრცელდეს. თუ საფასური რაიმე მიზეზით იცვლება, უნდა მოხდეს მინიმალური თანხების აღიარება, თუ არ არსებობს მათი გაუქმების მნიშვნელოვანი რისკი. მომხმარებლებთან ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები უნდა კაპიტალიზდეს და ამორტიზდეს ხელშეკრულებით მიღებული სარგებლის მოხმარების პერიოდში.

შესწორება ფასს 15, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გამოცა 2016 წლის 12 აპრილს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). შესწორება არ ცვლის სტანდარტის ძირეულ პრინციპებს, მაგრამ განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება. კერძოდ, შესწორება აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტში შესრულების ვალდებულების (მომხმარებლისათვის საქონლის, ან მომსახურების მიწოდების პირობა) იდენტიფიცირება; როგორ უნდა დადგინდეს, არის თუ არა ძირითადი მევალე (მომხმარებლისათვის საქონლის, ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტი (პასუხისმგებელია საქონლის, ან მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფაზე); და როგორ უნდა დადგინდეს, ლიცენზიის მინიჭებიდან მიღებული შემოსავალი დროის ერთ მომენტში უნდა აღიარდეს თუ დროთა განმავლობაში. განმარტებების გარდა, შესწორებები მოიცავს ორ დამატებით შეღავათს ხარჯებისა და სირთულეების შესამცირებლად, როცა კომპანია პირველად იწყებს ახალი სტანდარტის გამოყენებას.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ქვემოთ ახსნილია ის მთავარი ცვლილებები, რასაც კომპანია ელის ფასს 15-ის გამოყენებისგან:

- ხელშეკრულების ცვლილების აღრიცხვა;
- დამატებით იდენტიფიცირებული შესრულების ვალდებულებები;
- დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის აღრიცხვა;
- ცვლილება შემოსავლის აღიარების დროში (პერიოდზე თუ პერიოდის ერთ მომენტში);
- ხელშეკრულების მიღების ხარჯების აღრიცხვა;
- ხელშეკრულების შესრულების ხარჯების აღრიცხვა.

საჭირო არ გახდება ფასს 15-ის საწყისი გამოყენების დღისათვის, ანუ 2018 წლის 1 იანვრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებული თანხების კორექტირება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალ სტანდარტში მოცემულია იჯარის აღიარების, აღრიცხვის, პრეზენტაციისა და განმარტების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგად, იჯარის დაწყებისას მოიჯარე იღებს აქტივის გამოყენების უფლებას და, დროთა განმავლობაში, თუ საიჯარო გადახდები განხორციელდა, იღებს დაფინანსებასაც. შესაბამისად, ფასს 16-ით აღმოიფხვრება იჯარების კლასიფიკაცია საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, როგორც ამას ბასს 17 მოითხოვდა და, შემოაქვს მოიჯარის აღრიცხვის ერთიანი მოდელი. მოიჯარე ვალდებული იქნება, აღიაროს (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ვადა 12 თვეს აღემატება, თუ შესაბამისი აქტივი დაბალღირებულებიანი არაა; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისგან განცალკევებით მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ში არსებითად გადმოტანილია ბასს 17-ში მოცემული იჯარის გამცემის აღრიცხვის მოთხოვნები. შედეგად, მეიჯარე იჯარებს კვლავაც ყოფს საოპერაციო იჯარებად, ან ფინანსურ იჯარებად და ამ ორ სახეობას სხვადასხვაგვარად აღრიცხავს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17, „სადაზღვევო კონტრაქტები“ (გამოცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს ანიჭებდა უფლებას, სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვა კვლავაც არსებული პრაქტიკით ეწარმოებინათ. შედეგად, ინვესტორებს უძნელდებოდათ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ინფორმაციის შედარება. ფასს 17 ითვალისწინებს ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტის აღრიცხვას ერთი პრინციპით, მათ შორის, დამზღვევის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტებისა. სტანდარტი პირს ავალდებულებს, სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფები აღიაროს და აღრიცხოს, როგორც: (1) მომავალი ფულადი ნაკადების (შესრულების ფულადი ნაკადები) რისკით კორექტირებული მიმდინარე ღირებულება, რომელშიც მოცემულია ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფულადი ნაკადების

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

